№ 251 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 1 მან. ხუთშაბათი 6 ნოემბერი 1919 წელი

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი.

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალით, № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრლება კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

ხუთშაბათს, ნოემბრის 6-ს, ვოლ. ლევიცკაიას, ზალიპსკის, ინაშვილის, კურბატოვის, დენია ნენკოს, ეზროვის მონაწილეობით

ტრავიატა

ვიოლეტას პარტიას შეასრულებს ვოლ. ლევიცკაია, ალფრედის პარტიას—ზალიპსკი. პარასკევს ნოემბრის 7-ს ალეშკოს მონაწილეობით „ტრუბადური". შაბათს, ნოემბრის 8, ოპერა შუშანიკათვის „ურიის ქალი" კვირას—ნოემბერის 9, „ჰოფმანის ზღაპრები". 81 1—1

ქართველ მხატვართა საზოგადოების შემოდგომის გამოფენა.

1. ქართველ მხატვართა საზოგადოება მართავს მხატვართა საერთო გამოფენას.
2. გამოფენაზე მონაწილეობა შეუძლია მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მხატვარს.
3. გამოფენაზე მონაწილეობის მოსურნე მხატვარი ვალდებულია ჩაიწეროს განსაკუთრებულ სიაში საზოგადოებია სადგომში (რუსთაველის პრ. № 13). ნოემბრის 4—10 მდე 5 საათ. 7 საათამდე.
   ა) კომისიის მიზანი არის შეძლება მისცეს მხატვართ გამოფენაზე შეჯგუფებისა მიმართულების მიხედვით.
4. გამოფენისთვის სუოათების მიღება ხდება ნოემბრის 10—15-მდე დილის 12 ს.—2 საათ.
5. ვერნისაჟის დღე გამოცხადებული იქნება საგანგებოთ.
   ა) გახსაკუთრებული მოწვევის ბარათები მხატვრებს არ დაეგზავნებათ.

გამოფენის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე **შ. ქიქოძე.**
მდივანი **დ. შევარდნაძე.**

7—8

საქართველოს რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზების

საექსპლოატაციო ნაწილი ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 29 ოქტომბერს ამა 1919 წ. გზათა მინისტრის განკარგულებით გაიხსნა დროებითი მოძრაობა სადგურებ **ახალ სენაკისა და ხეთას შუა**. დღეში ივლის ორი წყვილი სახალხო მატარებლები მეორე და მესამე კლასის ვაგონებით. შემოღებულია დროებითი ტარიფი: მესამე კლასის ვაგონში მთელ მანძილზედ 10 მანეთი, მეორე კლასის ვაგონში 15 მანეთი; ბარგზედ ფუთზედ 3 მან. ყველა დამატებითი გადასახადები და მათ შორის წითელი ჯვრის სასარგებლოთაც უკვე შეტანილია აღნიშნულ ფასებში. ცნობები საქონლის მიმოზიდვის შესახებ გამოცხადებული იქნება შემდეგში. 72 72 3—3

ქართულ, სომხურ და თათრულ პირველ დაწყებით სახალხო სკოლებისთვის

იწვევს მასწავლებლებს

ჯამაგირი თვეში 1200 მან. ბინით, განათებით და გათბობით; აგრეთვე იწვევს გამგე-მასწავლებელს ქართულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებლისთვის, ჯამაგირი თვეში 1900 მან. ბინ, გათბობა, განათება მსახურით.

ტფილისის მაზრის ერობის **გამგეობა**
70—1—1

ქალაქის ელექტრონ სადგური

აცნობებს ქ. ტფილისის მოქალაქეებს, რომ ვინაიდან სადგურს ძლიერ ბევრი აბონენტები ყავს, მან შესწყვიტა მიღება ახალი აბონენტებისა, რომელთაც ელექტრონით სარგებლობა სურთ. 1—1 80

ოფიციალური განყოფილება.

ბრძანება

შინაგან და სამხედრო საქმეთა მინისტრისა.

№ 201.

სამაზრო ერობათა და კომისრების მიმართ დაგზავნილი ცირკულიარის № 1473 დამატებით ვბრძანებ:

1. დაუყონებლივ შედგენილ იქნას მთელ რესპუბლიკაში სამხედრო ბეგრის მოსახდელათ მოსაწვევ ახალგაზრდათა სრული სია. ამ სიაში შეტანილ უნდა იქნენ ის ახალგაზრდები, რომელნიც დაბადებულნი არიან 1899 წ., აგრეთვე 1898 და 1897 წლებში დაბადებულნიც, რომელნიც ჯარში გაწვეული იყვნენ მარა არ გამოცხადდენ.

2. სამხედრო ბეგრის მოსახდელად გასაწვევ ახალგაზრდათა სიის შესადგენათ საჭირო დაწვრილებითი ცნობები ადმინისტრაციის მიერ მოეთხოვოს ადგილობრივ მღვდელს, რომელთაც აქვს შესაფერი ცნობები. თუ რომელიმე მღვდელმა ასეთ ცნობების მოწოდებაზე უარი განაცხადა, ან ყალბი ცნობები მისცა ადმინისტრაციას და ერობას, ან ცნობების მიცემა დაუგვიანა, დაუყონებლივ შეტყობოს მღვდლის ვინაობა და მისამართი, რათა დამნაშავე მღვდლის წინააღმდეგ მიღებულ იქმნას შესაფერი ზომები.

3. დამზადებულ სიების პირი, ერთი ცალი, დამოწმებული გამოიგზავნოს ჩემდამი რწმუნებულ სამინისტროს კანცელარიაში, მეორე ადგილობრივ სამხედრო საკრებულოს უფროსს. სოფლის კომისრები, ან სადაც ასეთები არ არიან ადმინისტრატიული განყოფილების უფროსმა თავისი თანხლებით წარუდგინოს სამხედრო ბეგრის უფროსს ყველა ის პირი, რომელიც დაბადებული არის 1899 წ. და ყველა ის ვინც დაბადებულია 1897 და 1898 წლებში და ჯარში არ ირიცხებიან.

4. ყველა ის ახალგაზრდა, რომელიც სიაში იქნება შეტანილი ან სხვა და სხვა მიზეზების გამო გამორჩენილი იქნება, ვალდებულია ადმინისტრაციის მიერ დანიშნულ ვადაში გამოცხადდეს სოფ. კომისართან, თემის ან ერობის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსთან ან სამხედრო ბეგრის უფროსთან. მშობლები, მზრუნველები ან მახლობელნი ნათესავები, რომლებიც წააქეზებენ გასაწვევ ახალგაზრდას, რომ მათ თავიდან აიცდინონ სამხედრო ბეგარა, შეპყრობილი იქნენ და მომქმედი კანონის ძალით პასუხის გებაში მიცემულნი. ხოლო ადმინისტრაცია, რომელიც საჭირო ენერგიასა და მაცადინეობას არ გამოიჩენს ახალგაზრდათა შეკრებისა და სამხედრო უფროსთა წინაშე წარსადგენად, როგორც დამფარველნი დაუყონებლივ იქნებიან ჩემს მიერ თანამდებობიდან დათხოვნილი და პასუხის გებაში მიცემულნი.

ამ ბრძანების სასტიკი ასრულება ევალება მაზრისა და ქალაქის თვითმართველობებს და სხვა ადგილობრივ ადმინისტრატიულ ორგანოებს.

შინაგან საქმეთა და სამხედრო
მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

განკარგულებანი

საქართველოს სენატისა.

№ 1.

საქართველოს სენატის განკარგულებით ინიშნებიან: ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი გიორგი კონსტანტინეს ძე ხარაზიშვილი—ტფილისის სასამართლო პალატის წევრათ; ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძე—იმავე სასამართლოს თავმჯდომარეთ; ქუთაისის საგანგებო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი გრიგოლ პლატონის ძე დადიანი ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრათ; სამსახურს გარეშე მყოფი სერგი ლუკას ძე ბახტაძე—იმავე სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების წევრათ; სოხუმის ოლქის საგანგებო საქმეთა გამომძიებელი თედორე ტროფიმეს ძე ივანოვი—სოხუმის ოლქის სასამართლოს წევრათ—ყველანი პირველ ნოემბრიდან 1919 წლისა.

საქართველოს სენატის
თავმჯდომარე **დ. ხელთუფლიშვილი.**

1 ნოემბერი 1919 წ. № 15.

ინიშნება: შალვა გიორგის ძე ნაცვლიშვილი სენატის საკოდიფიკაციო განყოფილების შიკრიკად 1 ნოემბრიდან 1919 წლისა.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე **დ. ხელთუფლიშვილი.**

—

საქართველოს სენატის თავმჯდომარისა.

1 ნოემბერს 1919 წ., № 14.

ინიშნებიან საქართველოს სენატის კანცელარიაში: კონსტანტინე ილიას ძე აბაშიძე—სამოქალაქო დეპარტამენტის მდივნის თანაშემწეთ, პირველი ნოემბრიდან 1919 წლისა.

საქართველო სენატის თავმჯდომარე **დ. ხელთუფლიშვილი.**

—

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.

21 ოქტომბერი, 1919 წ., № 116.

დათხოვნილი არიან: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელი არტემ ბიქტორის ძე კოპაძე და იმავე კანცელარიის მოხელე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბეკლავა თანახმად თხოვნისა, თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან პირველი ამა წლის 1 ოქტომბრიდან და უკანასკნელი იმავე წლის 1 სექტემბრიდან.

მინისტრის ამხანაგი **ჭიჭინაძე.**
კანცელარიის დირექტორი **აფაქიძე.**

1 ნოემბერი 1919 წ., № 117.

ბრძანება: ინიშნება ილია ზოსიმეს ძე რუხაძე სამინისტროს კანცელარიის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილების უფროსად.

მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

—

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგისა.

№ 78.

მიენიჭოს: უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლის წოდება: 1. ტფილისის რეალურ სასწავლებლის მასწავლებელს გიორგი რომანენკოს რუსულ ენაში, 2. ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის მასწავლებელს სოლომონ მესტიაშვილს მათემატიკაში, 3. ქუთაისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის მასწავლებელს დეკანოზ ივლიანე აბესაძეს ისტორიაში და გეოგრაფიაში, 4. ქუთაისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის მასწავლებელს ი. ამაღლობელს მათემატიკაში.

ხსენებული მასწავლებლები დამტკიცდნენ თავიანთ თანამდებობაზე ამა წლის 1 სექტემბრიდან.

№ 69.

მიენიჭოს: საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდება ქართულ ენაში დიმიტრი დუმბაძეს და დამტკიცდეს თანამდებობაზე ამა წლის 1 სექტემბრიდან.

№ 80.

შესაცვლელად სამინისტროს განკარგულებისა ათი სექტემბრის თარიღით № 7796, ქუთაისის ქალთა წმ. ნინოს გიმნაზიის მასწავლებელი ი. არსენიშვილი გადაყვანილია სამსახურის სარგებლობისათვის ხონის საოსტატო სემინარიის მასწავლებლად, მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან.

განათლების მინისტრის
ამხანაგი **ნ. ცინცაძე.**

—

ფინანსთა და ვაჭრ.-მრეწვ. მინისტრისა

28 ოქტომბერი, 1919 წ., № 65.

დაინიშნოს რეგისტრატორად ელენე არჩილის ასული აბაშიძე ა. წ. 25 ოქტომბრიდან.

№ 66.

დაინიშნოს საერთო განყოფილების მემანქანეთ მარიამ ევსეი ფავლენიშვილის ასული ა. წ. 25 ოქტომბრიდან.

31 ოქტომბერი, 1919 წ. № 67.

დაინიშნოს დროებით საბიუჯეტო-საბინო განყოფილების რეგისტრატორად ვერა დიონისის ასული ჩიხლაძე ა. წ. 28 ოქტომბრიდან.

ფინანსთა დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის აღმასრულებელ. **ალ. კანდელაკი.**

—

იუსტიციის მინისტრისა.

1 ნოემბერი, 1919 წ. № 252.

ჩაირიცხა სასამართლოს უწყებაში და იგზავნება: სოხუმის 1 უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღსასრულებლად ივანე ივანეს ძე შმიდტი.

№ 253.

იგზავნება: ქ. სოხუმის 1 უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ვლადიმერ იოსების ძე ჟიტკოვსკი სოხუმის ოლქის სასამართლოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლის თანამდებობის აღსასრულებლად ა. წ. ნოემბრის 1-დან.

მინისტრის მაგ. **ნ. ქიქოძე.**
დირექტორის მაგ. **დ. წითლანაძე.**

—

საქართველოს მუზეუმის დირექტორისა.

დანიშნულია გიორგი სმირნოვი გეოლოგიურ განყოფილების დროებით ასისტენტად მიმდინარე წლის ღვინობისთვის 1-დან.

მუზეუმის დირექტორი **ნ. ყიფიანი.**

—

საჩხერის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა.

1) დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან საჩხერის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს მდივნის თანაშემწე-თარჯიმანი ისიდორე ექვთიმეს ძე ბაბუხადია თანახმად თვისი თხოვნისა პირველ ოქტომბრიდან ამა წლისა.

2) მოქალაქე ივანე კონსტანტინეს ძე აბაშიძე დაინიშნა საჩხერის უბნის სამომრიგებლო სასამართლოში მდივნის თანაშემწეთ-თარჯიმნათ პირველ ოქტომბრიდან ამა წლისა.

საჩხერის უბნის მომრიგებელი
მოსამართლე **ალ. ყაველაშვილი.**

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქ. სამინისტროში.

ჭიათურის გვარდიელთა კრების დეპეშა

ჭიათურის სახალხო გვარდიის კრება იღებს რა მხედველობაში ანარქიულ გამოსვლებს, რომელთაც მიზნათ აქვს დასახული სამოქალაქო ომი გააჩაღოს მუშათა კლასის შორის და მით ხელი შეუწყოს შავი გენერლების შემოსევას, სთხოვს მთავრობას ასეთი გამოსვლების წინააღმდეგ იქნეს უსასტიკესი ზომები მიღებული. კმარა ლმობიერება. ყოველივე დაძახილზე ჩვენ მზათ ვიქნებით შეავსრულოთ ჩვენი მოვალეობა. თავმჯდომარე სიხარულიძე.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

„სატყეო წესდება"

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებამ შეიმუშავა ახალი „სატყეო წესდების" პროექტი, რომელიც შედგენილია 1916 წელს რუსეთის მიწათ მოქმედების და მიწათ-მოწყობის მთავარ სამმართველოს მიერ შემუშავებულ პროექტის მიხედვით, სადაც დიდი ადგილი ქონდა დათმობილი კავკასიის ტყეებს.

აგრონომიული ყრილობა

აგრონომიული ყრილობის შესახებ ყოველ-გვარ ცნობების მიღება შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტის მდივანთან, გ. თ. გედევანიშვილთან და გ. ტ. რცხილაძესთან მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო სამეურნეო განყოფილებაში.

აგრონომიულ ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტი სთხოვს ყველას დააჩქარონ მოხსენებათა გამოგზავნა, რათა მოესწროს მათი დაბეჭდვა. სასურველია მოხსენებები ნოემბრის 25 მდე იქნეს წარმოდგენილი.

დამფუძნებელი კრება.

4 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

მდივანი გრ. ნათაძე კითხულობს ახლად შეტანილ კანონ-პროექტებს, რომლებიც გადაეცა სათანადო კომისიებს. გრ. ნათაძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები შემდეგ კანონ პროექტებისა: „გზა-ტკეცილების საქმართველოს განკარგულებაში 380.000 მან. კრედიტის გახსნისა, ოსეთის საბჭედრო გზის შეკეთებისათვის. 2) შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო სასანიტარო განყოფილების შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების დეკრეტისა. 3) სახელმწიფო კანტროლიორის შტატის დამტკიცების კანონისა. 4) შინაგან საქმეთა სამინისტროს სამაზრო და საქალაქო სასამართლოს საექიმო განყოფილების შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების დეკრეტისა. 5) ტფილისის საშუალო კულტურული ტეხნიკურისა, ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სკოლების შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის დეკრეტისა.

გაგრძელება მხჯელობის საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის განგრძობის დეკრეტისა.

თედო ლლონტი (ს.-ფ.). ორატორი თავის სიტყვის დასაწყისში აღნიშნავს, რომ სოციალ-რევოლიუციონერების წინადადება, რომელიც მათ წინადადებაზე წამოაყენეს ანტი სახელმწიფოებრივია. ისინი მოითხოვენ არ მისცეს მთავრობას უფლება ბონების გამოცემისა. ეს დღევანდელ პირობებში ნიშნავს სახელმწიფო ორგანიზმის ძირის გამოთხრას. ორატორი აცხადებს, რომ სოციალ ფედერალისტთა ფრაქცია თანახმა არის მიეცეს მთავრობას საამისო უფლება, მხოლოდ საჭიროთ მიგვაჩნია ჩვენ ზოგიერთ გეგმების შეცვლა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიურ განვითარებასო. ორატორი ეხება რა მონოპოლიის გამოცხადებას ზოგიერთ საგნებზე, აღნიშნავს, რომ მხოლოდ ზედმეტი საქონელი უნდა იქნას გატანილი უცხო ბაზარზე და ჩვენი ქარხნები უნდა უზრუნველყოფილ იყვენ ამ ნედლი მასალითო. საჭიროა გამოცხადდეს მონოპოლია არა მარტო ექსპორტის, არამედ იმპორტის. სახელმწიფომ მზრუნველობა უნდა გაუწიოს შინაურ მრეწველობას: საბაჟოების სისტემის მოგვარება, პროტექციონური სისტემის შემოღება. ორატორს საჭიროთ მიაჩნია მთავრობა მრეწველობის მუშაობაში მხოლოდ დემოკრატიას დაეყრდნოს. კერძო ინიციატივა მაშინ კიდებს ხელს მრეწველობას, როცა უსაზღვრო მოგება რჩება. ეხლანდელ დროში ბურჟუაზია იმდენს ვერ მოიგებს მრეწველობაში, რამდენსაც იგებს სპეკულიაციაში, და არც აბნდებს იგი კაპიტალს ფაბრიკ-ქარხნებში. მრეწველობას მოკიდებს ხელს მხოლოდ ის, ვინც არ არის დაინტერესებული დიდი მოგებით. მხოლოდ დემოკრატიულ ორგანიზაციებს შეუძლიანთ მრეწველობის განვითარებას შეუწყონ ხელი. ორატორს საჭიროთ მიაჩნია მოხდეს დევალვაცია ფულის, ამით მხოლოდ სპეკულიანტები დაზარალდებიანო. ორატორი დაასკვნის თავის სიტყვას სოციალფედერალისტების ფრაქციის სახელით შემდეგ დებულებებს:

1) მონოპოლია ყველა სამონოპოლიო საქონლისა, მონოპოლიურ საქონლით უზრუნველყოფაა შინაურ მწარმოებლების, ეროვნულ მრეწველობის გაჩენისათვის პროტექციონური სისტემა, იმპორტის მონოპოლია, სასურსათო ორგანოს ერთი ცენტრის შექმნა, დევალვაცია, კრედიტის მონოპოლია კრედიტის ნაციონალიზაციის სახით, უცხოეთიდან სესხის აღება.

ალ. ასათიანი (ნ. დ.) ორატორის აზრით სტერლინგების ფასი კი არ ეცემა, არამედ ჩვენი ბონების ფასი დღითი დღე ეცემა. ბონები განუსაზღვრელად გამოდის და იგი არ ემსახურება პირდაპირ თავის დანიშნულებას—ესე იგი ვაჭრობა-მრეწველობას. კრედიტების და გადასახადების საკითხი მოუწყობელია და ესეც ხელს უწყობს ბონების ფასის დაცემას ბურჟუაზიულ წრეებსაც სრულიადაც არ უნდათ ბონების ფასი დასცენ, როგორც ამას სწერს გაზ. „ერთობაში“ ავალიანი. ორატორი კითხულობს ს. ავალიანის წერილს და შემცდრათ მიაჩნია ავტორის მოსაზრებანი. მას ჭიროთ მიაჩნია შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ვაჭრობა მრეწველობისათვის ტ კერძო ინიციატივასაც, კერძო ვაჭრებსაც უნდა მიეცეთ ისეთივე თავისუფლება. როგორც ეს საზოგადოდ დაწესებულებას კოოპერატივებს აქვთ. კერძო ინიციატივა არ უნდა იქნეს დახშულიო.

კ. კანდელაკი. (ფინ. მინ.) ბატონებო! მე აქ არ გამოვედი იმის დასამტკიცებლათ, რომ ზედმეტი ემისიებით გამოკეთდებოდეს ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა. ასეთი აზრი აქ არავის წამოუყენებია—და თუ მაინც შენგელიამ ამითი დაიწყო კრიტიკა—ეს მიტომ, რომ ადვილი დასარღვევი არის ეს დებულება—ხშირად ჩვენი ოპოზიცია ანგარიშს არ უწევს თუ რა საკითხი ირჩევა და კონკრეტიულ საგანს სულ სხვა სფეროში აყენებენ. ის კითხვები რომლებიც აქ წამოაყენეს გასარჩევია ბიუჯეტის განხილვის დროს ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ არ გაქვთ გეგმა, პროგრამა მე არ ვიცი განა შესაძლებელია, რომ მინისტრი ყოველ კონკრეტიულ შემთხვევების დროს გამოდიოდეს აქ თავის გეგმების განმარტებით. თქვენ მოისმენთ მთავრობის დეკლარაცია, სადაც გაშუქებულ იყო ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა, წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს დართული აქვს სამინისტროს გეგმები ჩვენ ფინანსების შესახებ. სოციალ-ფედერალისტები გვისაყვედურებენ ვერ შექენით მრეწველობაო, მაგრამ დაგვისახელონ ისეთი ქვეყანა, სადაც ამ არევ დარევის ხანაში აყვავდა და განვითარდა მრეწველობა. იყო თუ არა შემთხვევები, რომ ჩვენ კერძო ინიციატივისათვის ხელი არ შეგვეწყო, ამას თქვენ ვერ დამისახელებთ, მე კი ვიტყვი, რომ ჩვენ ლარიბ ხაზინიდან—ასი ათასი მანეთები გაგვიცია ასეთ საქმისათვის. კაპიტალისტებმა კარგათ იციან, რომ დღეს მათ ვაჭრობა 100 პროცენტის მოგებას აძლევს,მრეწველობა მათ ამდენს ვერ მისცემს, და ამიტომაც ეწევა იგი სპეკულიაციას. აქ სთქვეს, რომ მთავრობა არ ეხმარება საზოგადო დაწესებულებებსო. უნდა იცოდეთ, რომ ადგილობრივ თვითმართველობას 30 მილიონი მანეთი მიეცათ და თუ მათ ვერ მოახერხეს მრეწველობის განვითარება—ალბად მათვისაც არსებობდა ის დაბრკოლება—რაც ხელს უშლის მრეწველობის განვითარება—აყვავებას ლლონტი იძახის კოოპერატივებს არ ეხმარებითო. მან უნდა იცოდეს, რომ საქონლის საკრედიტო მომხმარებელ საზოგადოებას 10 მილიონი მანეთი მართებს ხაზინის. ჩვენ არ ვადგივართ ისეთ პოლიტიკას,რომელიც დღევანდელ სოციალურ პირობებში მხოლოდ თეორიულად შეიძლება მასზე სჯა-ბაასი ექსპორტის, იმპორტის სრულ მონოპოლიას ვერ ვიკისრებთ, მაგრამ ვართ იმის წინაღმდეგიც რომ დღევანდელ პირობებში თავისუფალი ვაჭრობა დამყარდეს, ეს თვით ინგლისშიაც კი არ არის დღეს. მონოპოლიზაცია ერთბაშად არ შეიძლება. რაც შეეხება იმპორტის მონოპოლიას, თუ ეს ესმით ისე, რომ თვით სახელმწიფო უნდა ანაწილებდეს შემოსულ საქონელს. ეს დღეს სრულიად მიუღებელი არის. პროტექციონიზმი დღევანდელ პირობებში ნიშნავს მას, რომ სანამ ჩვენში არ შეიქნება ფაბრიკები, არავითარი საქონელი არ უნდა შემოუშვათ აქ. რაც შეეხება ნედლ მასალას ჩვენ უზრუნველ ვყოფთ ადგილობრივ ქარხნებს ორი წლით მაინც. ზედმეტ საქონელს გავიტანთ მხოლოდ. მისაყვედურეს, რომ თქვენ აფერხებთ წარმოების გაჩაღებას. თქვენ ხელი არ გაუმართეთ და ადერბეიჯანში გახსნეს თამბაქოს ქარხანაო. როგორც ჩვენ ვზრუნავთ მრეწველობისათვის, იქაც ისე ზრუნავენ და გახსნეს თამბაქოს ქარხანა ჩვენშიაც. გაიხსნა ორი ქარხანა. წარსულ სხდომაზე თქვენ სთქვით, რომ მთელი ყურადღება მიქცეულია ბონების ბეჭდვაზე და გადასახადებს კი არ აგროვებთო. მინისტრი კითხულობს იმ ციფრებს, რომელიც გადასახადებით შემოსულა წასულ წლის პირველ ივლის ხაზინაში შემოსულა 8 მილ. მეტი ოქტ. 6 მილ. მეტი, დეკემბ. 8 მილ. მეტი, ამ წლის აპრილში ცხრა მილ., ივლის 18 მილ. მეტი, სექტემბერს 21 აილ. მეტი, აქედან დაინახავთ, რომ გადასახადების მოკრების საქმე არც ისე უნუგეშო მდგომარეობაშია, თუმცა ფულის საკითხი ეკონომიურ მეცნიერებაში ერთ უდიდეს საკითხად არის მიჩნეული ჩვენში ნამეტნავად გაამარტივეს ეს—ვინ არ გინდათ, რომ ამ საგანზე ლექციებს არ გიკითხავდეს. მაგრამ თუ არ ცოდნა ეპატიება ობივატელს, სრულიად დაუშვებელია დამფუძნებელი კრების წევრი გამოდიოდეს აქ და არავითარ ახალს არ გვეუბნებოდეს და ობივატელუად მსჯელობდეს. ყოვლად შეუძლებელია ბიუჯეტის კომისიასთან დაკავშირება. თქვენ შეგიძლიანთ ბიუჯეტის წინააღმდეგ მისცეთ ხმა, მაგრამ როდესაც თქვენ გინდათ უნიშნოთ დასტოვოთ სახელმწიფო, ეს პირდაპირ წარმოუდგენელია. როდესაც მსჯელობთ ჩვენი ბონების სიმრავლეზე ნუ გავიწყდებათ, რომ სხვა სახელმწიფოები სესხს ღებულობდნენ და არ ყოფნიათ სესხი, ქალალდის ფულს უშვებენ. ჩვენ სესხი არ გვაქვს გარდა ბონებისა და ეს ბონები ჩვენი სესხი არის.

თუ თქვენ აიღებთ საფრანგეთს 1912 წელს იქ, თითო სულზე ვალი მოდიოდა 291 მანეთი, ჩვენში 500 მილ. მან. ბონებია ამიერ კავკასიის, 250 მილ. ჩვენი ბონების,—სულ 750 მილ. და თუ ვიანგარიშებთ 26 ახ. მილ. მცხოვრებს, მივიღებთ, რომ ჩვენში სულზე მოდის 286 მანეთი ისიც არის მისაღები მხედველობაში, რომ სექციის დაწესებულებათა ლიკვიდაცია მოხდა ჩვენი ბონებით. რასაკვირველია სხვა აგენტების წარმოება გაცილებით მეტია. თქვენის აზრით ფულის კურსის დაცემის მიზეზი—არის მისის გამრავლება. კურსის დაცემის მიზეზი არ არის მარტო ეს, მინისტრი ამ თავის დებულებას ამტკიცებს სხვა ეკონომისტ მეცნიერთა აზრებით.

თქვენ ამბობთ, რომ თითქოს სტერლინგის სიმცირე არ ქმნიდეს ფულის კურსის დაცემას. თქვენ ჩვენი ფული უნდა შეადაროთ არა ინგლისის კურს, არამედ მხედველობაში უნდა მიიღოთ, რომ ნეიტრალურ ზონაში ჩვენი ფული, მეტად ფასობს ვიდრე დონის ადერბეიჯანის და სხვა ამიერ-კავკასიის და ადერბეიჯანის ბონებზე ლაჟი არსებობს, ჩვენში კი ამიერ-კავკასიის და ჩვენ ბონებს შუა არავითარი ლაჟი არ არის თვით კერენკები ერთდროს დიდ ღირებულებას წარმოადგენდენ, ეხლა კი აუარებელი ფული შემოქონდათ კერენკების ჩვენ ბანკებში და ითხოვდენ ჩვენ ბონებზე გადახურდავებას. როდესაც ლაპარაკი ისეთ საგანს შეეხება როგორიც არის ფული გთხოვთ საქმეს ობიექტიურ-მეცნიერულად და პრაქტიკულ თვალსაზრისით შეეხედოთ, რომ ყალიბი შეხედულება არ გაავრცელოთ ხალხში (ტაში).

ს. მდივანი. (მომხ.) აღნიშნავს რომ საბიუჯეტო საფინანსო კომისიაში ამ საკითხს სულ სხვა ხასიათი ჰქონდა, აქ კი პლენუმზე ეს გააფართოვეს და მსჯელობას ფართო ხასიათი მისცეს ორატორი აკრიტიკებს სოც. რევოლიუციონერების გამოსვლას: აღნიშნავს, რომ მათი წინადადებაა არ მიეცეს მთავრობას—ეამისო უფლება ეს არის არა მთავრობის წინააღმდეგ არამედ სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა.

კამათი დასრულდა. დამფუძნებელ კრებამ მიიღო დეკრეტი, რომელის ძალითაც მთავ-მთავრობას ენიჭება უფლება გამოსცეს სამასი მილიონი მანეთის ბონები, დეკრეტს წინააღმდეგ მისცეს ხმა მხოლოდ სოც. რევოლიუციონერებმა.

მუნიციპალური ცხოვრება.

გორის ქალაქის საბჭოსდადგენილებანი:

მიღებულ იქნეს საბჭოს წესდება და დაიბეჭდოს ასი ცალი ხმოსნებისთვის დასარიგებლად და სხვა საჭიროებისათვის.

—

რვა საათის სამუშაო დღის შესახებ მოხსენება მიღებულ იქნეს, დაიბეჭდოს 500 ცალი და დაურიგდეს მოვაჭრეთ, ღირებულ ფასის გადახდით.

—

სენიანთა საავადმყოფოს საწოლების შემცირების შესახებ, პარტახტიანი სახადის განაღების გამო, მომხსენებელის აზრით საჭიროა ქალაქის ტერავპეტიული საავადმყოფო მოწყობილ იქნას უფრო დიდ შენობაში, რომელშიც შესაძლებელი იქნება დაარსდეს განყოფილებები, ამიტომ დაადგინეს: ჩამოერთვას აღნიშნულ მიზნისთვის, მოქალაქე ანდრონიკაშვილს სახლი (ნ. ჟორდანიის ქუჩაზე) და ამ შენობაში მოთავ დეს ქალაქის საავადმყოფო, მოხსენებულ განყოფილებებით.

—

სენიანთა საავადმყოფოში 1 აგვისტოდან ა. წ. შემცირდეს მოსამსახურეთა შტატი, საწოლები შემცირების მიხედვით. ამ სახლის ქირა გადაწყდეს ბინათა კამერის შეფასების მიხედვით.

—

მიწათ მოქმედების სამინისტროს შინა-მრეწველობის განყოფილების მოშართვის შესახებ 8 საათიდან ა. წ. № 260 (რეესტრის № 1295) დაეთმოს ამ განყოფილებას ქალაქის მიწებიდან სანერგე პლანტაციების მოსაწყობად, სამი დესეტინა მიწა. ეს პლანტაციები საჭიროა კალათების საწნავ სკოლისათვის, რომელიც გორში გაიხსნება ახლო მომავალში, ამის შესახებ დაადგინეს: მიეცეს შინა-მრეწველობის განყოფილებას, მომართვაში აღნიშნულ მიზნისათვის, სამი დესეტინა მიწა.

—

გორის ბაზრის მცხეთელთა [illegible] მომხმარებელ საზოგადოების მომართვის შესახებ, 7 ივნისიდან ა. წ. № 66 (რეესტრის № 1684. დაეწესოს ამ საზოგადოებას მცირე გადასახადი ღვინით ვაჭრობის უფლების მოპოვებაში, დაადგინეს: უარი ეთქვას აღნიშნულ შუამდგომლობაში.

—

ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის მოხსენება ქ. გორში გასასხსნელი პირველ დაწყებითი სკოლების და მათი 1 ივნისიდან ა. წ. 1 ივნისამდე 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ, დაადგინეს: მოხსენება მიღებულ იქნეს და დაევალოს ქალაქის გამგეობას საჩქაროდ აღძრას შუამდგომლობა მთავრობასთან სათანადო კრედიტის გახსნის შესახებ.

—

გამგეობის მოხსენება პირველ ხარისხის რესტორანებზე და ლუდით მოვაჭრეებზე გადასახადის დაწესების შესახებ, დაადგინეს: დაწესებულ იქნეს გადასახადები ა) პირველ ხარისხის რესტორანებზე 3,000 მან.; ბ) ლუდით მოვაჭრეებზე 1500 მან.

—

ქალაქის გამგეობის მოხსენება—რესტორანების, სასადილოების, სამეკიტნოების დამატებითი დებეგვრის შესახებ, დაადგინეს: დაწესებულ იქნეს მოხსენიბაში აღნიშნული გადასახადი წლიურად 1000 მანეთი.

—

ქალაქის გამგეობის მიერ გადადგმული ნაბიჯი დადასტურებულ იქნეს და ადგილობრივი ტელეფონი გადაეცეს ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს მოხსენებაში აღნიშნულ პირობებით. რომელთა ვრცელი დამუშავება მიენდოს ქალაქის გამგეობას.

—

დაარსდეს საადრესო განყოფილება ქალაქის კომისარიატთან და ამ საქმის საწარმოებლად მოწვეულ იქნეს ერთი მოხელე, რომლის შტატიც დაემატოს ქალაქის კომისარიატის შტატის.

ცნობების მიცემაზე იხდევინებოდეს ერთი მანეთი. საადრესო განყოფილების დაარსება და მოქმედებბა გატარებულ იქნეს ცხოვრებაში იმ წესების მიხედვით, რომელიც ასებობს ტფილისში და საზოგადოთ სვა დიდ ქალაქებში.—

—

დადასტურებულ იქნეს ქ. გამგეობის განკარგულება ქუჩების განათების შესახებ და დაევალოს ყოველ სახლის და დუქნის პატრონს და დაწესებულებას გამოჰკიდოს ქუჩაში ფარანი, უბრალო ლაიფით, ან გააკეთო ელექტრონის ლამფა, ამასთანავე ლამფის შუქი არ უნდა იყვეს ელექტრონის 16 სამთლიან ლამპოჩკაზე ნაკლები,

მიეცეს წინადადება ქალიქის გამგეობას შემდეგი სხდომისთვის წარმოუდგინოს საბჭოს ერთგვარი სისტემა ქუჩების განათებისა.

ქალაქის გამგეობამ განაგრძოს თავისი მოქმედება აღნიშნულ განათების მოსაგვარებლად

—

დაარსდეს მფრინავი რაზმი, რომელსაც დაევალოს მოხსენებაში აღნიშნული ფურცლების შესრულება. ამ რაზმისთვის დაწვრილებითი ინსტრუქციის გამომუშავება მიენდოს ქალაქის გამგეობას (მიღებულია ერთხივ.)

—

სანდრო მაისურაძის სამკითხველოს გამგეობის სახელობაზე გადადებულ იქნეს სამასი თუმანი (3,000 მ.) და ეს თანხა შეტანილ იქნეს ხარჯთ-აღრიცხვაში.

—

მიეცეთ ბაყლებს ნება მთელი დღე იქონონ დუქნები ღია იმ პირობით, რომ მუშები და ნოქრები მუშაობდნენ მხოლოდ 8 საათს დღეში, თანახმად სავალდებულო დადგენილებისა.

—

შემოღებულ იქნეს საფუთო გადასახადი, რომელიც უდრიდეს ოკეკეს ძირითად სატარიფო გადასახადისას, რომელიც აძევს ვერსზე ამა თუ იმ ტვირთის თითო ფუთს, თითო ცალს თუ თითო ვაგონს, ტვირთის რკინის გზით გადაზიდვის საერთო ტარიფის თანახმად და მიეწყოს გორის სადგურის უფროსს ამ გადასახადის დაუყოვნებლივ შემოღების შესახებ.

საქართველოს რკინის გზათა სამმართველოს წინაშე აღიძრას სათანადო შუამდგომლობა იყოლიოს ქალაქის თვითმმართველობამ სადგურ გორზე თავისი აგენტი საფუთო გადასახადის ასაკრებად.

—

გადაიდოს ქალაქის საბჭოს შრომის დაცვის კომისიის განკარგულებაში სამი თვის განმავლობაში ათას-ათასი მ. სულ 3,000 მანეთი შრომის დაცვის საქმის წესიერად მოსაწყობად.

ერობა.

ქუთაისის სამაზრო ერობაში.

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომებზე დაადგინა:

რომ წესიერათ მიმდინარეობდეს რკინის გზის მუშაობა, ამისთვის მიეცეს წინადადება რკინის გზის განაპირა დასახლებულ თემებს, რათა მოაწყონ მორიგეობითი დარაჯობა რკინის გზაზე, რაიონის და თემთა მილიციის კანტროლის ქვეშ. განაპირა თემებში მილიციონერთა რიცხვი გადიდდეს ხუთამდე. ამ საკითხის მოგვარება მიენდოს ერ. წევრს შალვა სანებლიძეს და მაზრის კომისარს ი. ახვლედიანს.

—

დაუყონებლივ გაიგზავნოს ტფილისში გზათა უწყებასთან მოსალაპარაკებლათ აჯამეთის ტყის 700 დესეტინის ექსპლოატაციის ასაღებათ ინჟენ. ჩხეიძე.

—

მიმდინარე წლის განმავლობაში გაწერილ იქმნას სავაჭრო სამრეწველეობის მეპატრონეებზე ერთი მილიონ სამასი ათასი მანეთი. სანიტარული გადასახადს მიეცეს დრო გადასახადისა დღიდან გამოცხადებისა ორი კვირა.

—

მიღებულ იქმნას ზომები რათა დაქირაველებულ იქმნას სატყეო მეურნეობის მცოდნე პირი.

—

სოფ. ვარციხე მიეწეროს გორის თემს ხოლო დიდველა და სადემეტრაო ბაღდადისას.

—

ყოფილი სალხინოს საზოგადოება დარჩეს ვანის თემში შუამდგომლობის ცალკე თემად გამოყოფის შესახებ უარი ეყოს. სოფ. ონჯოხეთი გამოეყოს დვალიშვილების თემს და მიეწეროს ვანის თემს.

—

ეწერ იანეთის თემის გამგეობა და კანცელარია დაარსდეს სახელმწიფო ფონდში გადმოსულ ნაკაშიძის სეულ მამულში.

—

თემი ღანირ-ჭაგანი დამტკიცდეს. მიეცეს ორივე თემებს წინადადება, რათა ყველა კულტურული და საზოგადოებრივი დაწესებულებები, რომლებიც დღემდი შექმნიდა ორთავე თემის საშუალებით დარჩეს იმ ადგილზე და იმ პირობებში, როგორშიდაც დღეს დღეობით იმყოფებიან. საერთო დაწესებულებათა არავითარი გაყოფა დაშვებული არ უნდა იქნას.

—

ამაღლების უბნის მომრიგებელი მოსამართლის კამერა უხუთის, ამაღლებისა და გორის თემისთვის გაიხსნას ჭოკიანის აბანოზედ მაბლობლათ გორას და ამაღლების თემის საზღვრებზედ სოფ. ამაღლების მცხოვრების ანიპოდისტე ხიჭიას ძე გაბუნიას სახლში, სანამ საკუთარი შენობა აიგებოდეს.

—

მიეცეს წინადადება სააფთიაქო საწყობის გამგეს, რათა მედიკამენტების გადაზიდვა მოაწესრიგოს საოჯახო განყოფილების დახმარებით. მაზრაში არსებულ აფთიაქებში მომუშავეთ მიეცეს ჯამაგირები იმ ფულიდან, რომლებიც შემოტანილ უნდა იქმნას მათ მიერ სალაროში.

—

სტატისტიკურ კურსებზედ გაგზავნილ იქმნას ერობის ხარჯზედ ორი მსმენელი, გამგეობის ამორჩევით. დადგენილება გამოუცხადოს თანამშრომელთ.

—

გამგეობის 14 სექტემბრის დადგენილება § 12 შეცვლილ იქმნას შემდეგ ნაირათ: ყველა იმ თანამშრომელთ, რომლებმაც იმუშავეს 7 სექტემბერს მიეცეს დღიური გასამჯელო.

—

ვინაიდან მედიკამენტები იყო და არის სახაზინო საწყობების, იმათ ეყოს რეკვიზიცია, ამიტომ სჭიროა მემკვიდრეებმა სასამართლოს წესით აღადგინოს თავისი უფლებები.

—

ვინაიდან წყალტუბოში მოლარე არ ყოფილა და გამორკვეულია ისიც, რომ მაჭავარიან ყაჩაღებმა ნამდვილათ წაართვეს ფულები—თხოვნა მისი დაკმაყოფილებულ იქმნას ეპატიოს 736 მანეთი მას ის წაართვეს და ითხოვა ეპატიოს მას სულ 736 მანეთი.

—

თანახმად მთავრობის დავალებისა გამგეობის წევრის მ. გავაშელის თავმჯდომარეობით შეიქმნას აჯამეთის ტყის ექსპლოატაციის სარევიზიოთ კომისია.

სარევიზიო კომისიის წევრებათ მოწვეულ იქმნენ შ. სანებლიძე, ქალაქის გამგეობის წევრი ლ. ქორქაშვილი.

ექსპორტათ-ყოფილი ტყის გამგე ლიმინაძე, საქმის მწარმოებ. მიხ. ბოკერია, მოანგარიშეთ სიმონ მირიანოვი.

კომისიის წევრებთ და მის თანამშრომელთ მიეცეს დაწესებული დღიური.

—

(ადგილობრივი თემების დახმარებით შეიქნეს არტელები).

ინსტრუქციების შედგენა და ფასების გამომუშავება მიენდოს ინჟენერ ჩხეიძეს.

პროექტი უნდა წარმოედგინოს გამგეობას დასამტკიცებლად.

—

დადგენილება გამგეობისა 28 სექტემბერის ვარცხე-სადემეტრაოს შესახებ დარჩეს ძალაში. ახლად შუამდგომლობას უარი ეყოს.

—

ეცნობოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს, რომ ერობის გამგეობას ყოველივე თვალავაძის საქმეებში, რომელიც უკვე მოხდა მიაჩნია მიზან შეწონილად და თუ მომავალშიც განმეორდა ის უწესოება რასაც ამდენხანს ქონდა ადგილი, გამგეობა კვლავ მიიღებს თავის თავზე მამულის საქმის მოწესრიგებას.

—

თავმჯდ. კ. სულაქველიძის მოხსენების შესახებ ადერბეიჯანის მთავრობის წარმომადგენლობის წინადადების 25 ათასი პარტის დამზადების შესახებ.

წინადადება მიღებულ იქმნას შემდეგი პირობით: თითო პარტა 500 მანეთად სადგ. აჯამეთში ჩაბარებით დაშლილი და დანომრილი, დღიდგან დანაკვეთის მიღებისა ერთი თვის შემდეგ ერობა იწყებს პარტების ჩაბარებას და მთელ დანაკვეთს მოათავებს ერთ თვის განმავლობაში დღიდან ჩაბარების დაწყებისა იმ პირობით, რომ დაკვეთილი 10% პარტების ღირებულებისა შემოიტანოს ერობის სალაროში თავიდანვე.

—

ეცნობოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს, რომ აგრარულ განყ. მიერ წარმოდგენილი ანგარიშები 1918 წლის ღალის აკრეფის შესახებ სამინისტროს გაეგზავნა ერობის გამგეობის განუხილავად. რაც შეეხება ღალის სიმინდს ერობამ მიიღო 4602 ფუთი და 6 გირვანქა და მასში გადაიხდის მაშინდელ ფასებს. მიღებულ სიმინდის მთავარი ნაწილი გადაეცემა სამხედრო უწყებას, 100 ფუთამდე დაურიგდა სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეებს სიმინდის დიდი კრიზისის დროს. დანარჩენი კი მოიხმარა ერობამ თავის საჭიროებაზე. ანგარიშები თუ სამინისტრო დაინახავს საჭიროთ, დაბრუნებულ იქნას ერობის მიერ გასახილველად.

—

სანიტარული ექიმის ევსევი ლოსაბერიძის მოხსენება ხალხში თავის მოვლა პატრონობაზე ჯანმრთელობის შენახვაზე მეცნიერულად სწორი და ადვილი გასაგები შემეცნების გავრცელების შეხებ. ლექციების, ბუნდოვანი სურათების და პატარა პოპულიალურ ენაზე და ამის საკითხზე დაწერილი ბროშურების გავრცელებას შესახებ დაადგინეს:

კითხვა ბროშურების დაბეჭდის შესახებ მიღებულ და პირველ შესაძლებლობის დროს განხორციელებულ იქმნას.

ქართველები უკრაინაში.

კიევის ქართული კოლონიის აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს ნათესავთ და ნაცნობთა საყურადღებოთ, რომ კიევში მცხოვრებ ქართველთა შორის უკანასკნელ მოქალაქობრივ ომის დროს არავინ დაზიანებულა.

აქ მცხოვრები ქართველობა სალამს უძღვნის ნაცნობთ ნათესავთ.

კიევის ქართულ კოლონიის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი მამალაძე. მდივანი სიმონ ლორთქიფანიძე.

რეზოლიუცია.

გამოტანილი 14 იანვარს 1919 წელს კიევის ქართველ საზოგადოების მიერ სუვერენულ საქართველოსადმი.

ქ. კიევში მცხოვრები ქართველობა უზომო სიხარულით და აღტაცებით ეგებება საქართველოს დემოკ. რესპუბ. ნახევარი წლის დამოუკიდებელ არსებობას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ხელახლა გამოსული საერთოშორისო პოლიტიკურ სარბიელზე ჩვენ სიამაყე-საქართველო მუდამ იზეიმებს იმ დღეს, როდესაც დაიმსხვრა ეკონომიური და პოლიტიკური მონობის ჯაჭვები.

გაუმარჯოს თავისუფალ სუვერენულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მის წინამძღოლებს!

უცხოეთი

(საქართველოს დეპ. საააგენტო).

მოსკოვი, ნოემბ. 4. გატჩინოს აღების გამო „პრავდა“ აღნიშნავს ჩვენი ჯარის მთელ ფრონტზე შეტევაზე გადასვლას. თუმცა გამარჯვება იაფი არ გვიჯდება, ზურგი სუსტდება, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ: „წინ ამხანაგებო, შეუდრეკელად“.

სარატოვი, ოქტ. 31. ცარიცინში განუწყვეტელი ცარცვა-ბლეჯა და თავდასხმაა. გაძარცულია აფთიაქები, სადაც სპირტს ეძებდენ. პროფეს. კავშირები გარეკეს, დაააა-სოფლები საშინლად გაძარცვეს; გაირეკეს საქონელი და გაიტაცეს ინვენტარი და პური. თეთრ გვარდიელთა გაზ. „კურიერ პოლსკი“ იუწყება, რომ კიევის გენერალ-გუბერნატორს გენ. ბრედოვს ქუჩაში ეკიპაჟში ყუმბარა ესროლეს გენ. ბრედოვი მძიმედ დაიჭრა.

ნაუენი, ნოემბ. 2. სკანდინავიის მეზღვაურთა ყრილობამ გადასწყიტა ეთხოვოს დანიის, შვეციის და ნორვეგიის მთავრობებს, რომ ისინი ეცადნენ მოკავშირეებს ბლოკადა შეაწყვეტინონ.

იუდენიჩის მთავრობამ სტოკჰომლმში 200 მილიონ მან. ქალალდის ფულის დაბეჭდვა შეუკვეთა.

მოსკოვი, ნოემბრის 4. სამხედრო ცნობა. ფინეთის ყურის რაიონში და გატჩინოს მიმართულებით რამოდენიმე დღის მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა იუდენიჩის არმიის წინააღმდეგობა სძლია. იუდენიჩის არმია საჩქაროთ უკან იხევს. ჩვენი ჯარი გატჩინოში შევიდა. მოწინააღმდეგის დევნა გრძელდება. ლუგის რაიონში ჩვენმა ჯარმა დაიპყრო ვინდავის რკინის გზის სად. ჩოლოვი და პრეობრაჟენსკაია. ჟიტკოვიცის, სტრუისკის და ტურეცკის ხაზზე გავიდა. ბორისოვისკენ რკინის გზის რაიონში ძლიერი ბრძოლაა. იგუმენსკის კენ მდ. ბერეზინის აღმოსავლეთით 10 ვერსზე ჩვენი ჯარი მკაცრად იბრძვის. ვოლინის, ნოვგოროდის რაიონში ჩვენ ჯარს ქალაქიდან 30 ვერსზე უკან დაახევინა აღმოსავლეთისაკენ. ფასტოვის ჩრდილო დასავლეთით 20 ვერსზე ბრძოლაა. კურსკის რკინის გზის და ფატეჟის გზატკეცილის გასწვრივ მკაცრი ბრძოლა გრძელდება. აღნიშნულ ადგილების დასავლეთით ჩვენი ჯარი ბრძოლით წინ მიიწევს. ჩვენმა ჯარმა მედგარი შეტევით ლივნიდან მოწინააღმდეგე განდევნა და დასავლეთისაკენ წინსვლას განაგრძობს. კასტორნისკენ ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მოწინააღმდეგე უკუ აქცია და კასტორნის აღმოსავლეთით 20 ვერსზე მდებარე სოფლების ხაზზე გავიდა. დავლის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არაა. ბორიზოგებსკის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს და პოვორინოს სამხრეთ აღმოსავლეთით 16 ვერსზე სად. პოლინა აიღო.

ს. ფილონოვის სამხრეთით მდ. კუმელგას დასაწყისთან ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მტრის ნაწილები დაამარცხა. წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ დავლა, რომლის რაოდენობა ჯერ არაა გამოკვლეული. მდ. ბუზულუკის და კუმილგის დასაწყისთა შუა ჩვენი ჯარი მო. ხოპერზე გავიდა. ცარიცინისკენ ვოლგის მარცხენა ნაპირზე ჩვენმა ჯარმა ცარევიდან მტერი განდევნა. პეტროპავლოვსკის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა 35 ვერსით წინ წაიწია. ჩრდილოეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. ქ. იშიმის სამხრეთით 25 ვერსზე ლარჟინსკაია ავიღეთ. ჩვენი ჯარი მდ. იშიმის მარჯვენა მხარეზე გადადის. იშიმის რკინის გზის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი ქ. იშიმის ჩრდილო დასავლეთით 70 ვერზე გავიდა. ტობოლის რაიონში ჩვენი შეტევა ვითარდება.

გერმანული პრესა.

ზემო სილეზიაში ადგილობრივ არჩევნებში მოკავშირეების გავლენას მოკავშირეთა კომისიის მოსვლამდე იხილავს, ბრესლავის გაზ. „ოსტდეოიტშე მორგენ პოსტ“-ი, რომელიც სწერს, რომ ხელშეკრულების თანახმად, მოკავშირეებს ევალებათ თვალყური ადევნონ ვალდებულებათა შესრულებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზავო ხელშეკრულება ძალაში შევა, რომ მას არა აქვს უფლება ჩაერიოს შინაურ საქმეებში სანამ ზემო სილეზიის მართველობა ოფიციალურად მოკავშირეთა კომისიას არ გადაეცემა. ამ ჩარევის ნამდვილ მიზეზათ გაზეთს ის მიაჩნია, რომ მოკავშირეებს სურთ არჩევნების შედეგებზე გავლენა მოახდინონ.

ბერლინის პრესა აღნიშნავს, რომ როგორც სჩანს, მოკავშირეებს სურთ დაფარონ საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგობა, მაგრამ იმავე დროს ის იმავე გზით სიარულს აპირებს. იმის მაგიერ, რომ გერმანიას დაეხმაროს ზარალის ანაზღაურებაში, მოკავშირეები ახალ რეპრესიულ ზომებს ღებულობენ. რაც უფრო აგვიანებენ საზავო ხელშეკრულების დადასტურებას, იმდენი უფრო მტკიცდება ის რწმენა, რომ მოკავშირეთა სახელმწიფოებს ზავისა ეშინიათ. თუ დროებითი ზავის პირობები ხელუხლებელი დარჩა, ყოველ წამს იქნება მოსალოდნელი გაჩოსვლები. მომავალ არჩევნებზე საფრანგეთის სოციალისტების პროგრამის უტყუარი მაჩვენებელია შემდეგი საშინელი და უდავო ფაქტი: ყველა ქვეყნების განიარაღება გერმანიიდან უნდა დაიწყოს. „ლოკალ ანცაიგერი“ ამბობს, რომ ზავის და დროებითი ზავის ხელშეკრულებაში არის გულწრფელობა, რათა გერმანია გაენადგურებიათ და რძის სიმცირით ბავშვები დაეტანჯათ, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ძმამავალ ზამთარში. შიმდეგ პროტესტში ნათქვამია რომ მთელი კულტურული ქვეყანა მოვალეა წინააღმდეგობა გაუწიოს ომის გამოშექმნილ გაჭირვებით გამოწვეულ ბავშვთა სიკვდილის გაძლიერებას. გერმანიამ დაბეჯითებით სთხოვა კომისიას ნება მისცეს მას საფრანგეთში და ბელგიაში ტ სხვა ქვეყნებიდან შეზიდულ ძროხებში ფული გადაიდო. 160 ძროხა უკვე მოიყვანეს ამერიკიდან საფრანგეთში.

ბერლინის გაზეთებში დაიბეჭდა ლონდონის საინფორმაციო ბიუროს ცნობა პროტესტის შესახებ იმ მოთხოვნილების გამო, რომ გერმანიამ 140 ათასი ძროხა უნდა გადასცეს მოკავშირეებს, პროტესტს ხელს აწერენ: ლორდი რობერ სესილი, ლორდი ლანდსდაუნი, კენტერბერიის და იორკის არქიეპისკოპოსები ერკოგინია ვედფორდი, სერ ბელლი, არტუ ჰენდერსონი, და სხვა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი. პროტესტი მიმართული საზავო ხელშეკრულების შემსწორებელ კომისიისადმი. პროტესტში მოთავსებულია ზოგიერთი ადგილები ინგლისის "თეთრი წიგნიდან", რომელიც მოწმობს, რომ გერმანიაში საშინლად გაძვირდა სანოვაგე. ხალხთა ლიგის, საყოველთაო ზავის, განიარაღების და სხვა მშვენიერ საქმეთა შექმნილი პარიზელები გერმანიის სახელმწიფოებრი ცხოვრების ერთად ერთ შემაფერხებელ საშუალებას სამხედრო ზომებში ხედავენ.

ნიკოლაევის რადიო სადგურის ცნობა.

ამ მოკლე ხანში სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალების ბანაკში გენ. დენიკინთან მოვა ბრიტანიის სამხედრო მისიის ყოფილი უფროსი მთავარსარდალთან გენ. ბრიგი და საფრანგეთის სამხედრო მისია გენ. მანკენის მეთაურობით. მისიის შემადგენლობაში 10 ფრანგი ოფიცერია. ოდესიდან იუწყებიან, გენ. ალაშჩევის ჯარის შეტევა, რომელიც პეტლიურას წინააღმდეგ მოქმედებდა 15 ოქტომბრიდან, გაისინის მიმართ დამთავრდა 19 ოქტ. ვოლინის იმ რაზმის შეტევით, რომელიც პეტლიურამ შეადგინა ოდესისკენ გზის გასახსნელად. შეწოდგომის ცივი დღეები, ხშირი წვიმები, ტალახები და წვიმისაგან ადიდებული ბუგი ძლიერ ხელს უშლიდა ჯარის წინსვლას ამ ოპერაციის დროს ჩვენმა ჯარმა 4000 ტყვე წამოიყვანა. ამათ რიცხვში 3 პოლკოვნიკი არის, 1 არტილერიის ინსპექტორი, ორი პოლკის უფროსი, რაზმის შტაბის კომენდანტი და შტაბ. ოფიცრები. ამას გარდა წამოვიღეთ 7 ზარბაზანი, 48 ტყვიისმფქვეველი, I ჯავშნიანი მატარებელი 2 ავტომობილი, მრავალი ორთქლმავალი და მატარებელი, მრავალი საარტილერიო და სატელეფონო ქონება. მანჯუჟიშვილის მაზრის ყირგიზებმა, რომლებიც ალექსანდროვსკის ფრონტთან არის კასპიის ზღვის ახლოს, მოინდომეს ცხენოსანი რაზმის შედგენა მოხალისეთა არმიისთვის ყირგიზთა მოდგმებს დაერქმევა თავისი სახლი ადაევის და კასპიის ფრონტზე უნდა გაიგზავნოს. სამხრეთ რუსეთის კონფერენციის შესახებ ხარლამოვმა სთქვა: კონფერენციის მუშაობა მიმართული იყო გაერთიანებულ რუსეთის შესაქმნელად, რომელიც დონთან ერთად მთლიანი უნდა იქნეს ჩვენი მოვალეობია შეგნება რუსეთის საერთო კულტურასთან ჩვენს მუშაობაში შემოდის. თვითმყოფ პრინციპებს ჩვენ წმინდათ ვინახავთ და მათ შეგნებაში ჩვენ არასდროს არ გავყოფილვართ და რომ არ ეწინააღმდეგება-საერთო სახელმწიფოებრივ და საერთო ხალხობრივ ინტერესებს, რომ არ უშლის ხელს სახელმწიფოს ძალაუფლების შედგენას, ამ დონზე ვიმეორებ, ჩვენ წმინდათ ვიცავთ“. დონის ატამანმა გენ. ბოგაევსკიმ და დონის არმიის სარდალმა გენ. სიდორინმა თავის სიტყვაში აგრეთვე აღნიშნეს, რომ სდგება უკანასკნელი გადამწყვეტი მომენტი. ორთავე სთქვეს, რომ დონის მიზანია გადაარჩინოს არა მარტო თავისი თავი, არამედ რუსეთიც. ბოგაევსკიმ შემდეგი სიტყვებით დაასრულა. . (გამოტოვებული და დამახინჯებულია) აღდგენა დონის და ერთ გაერთიანებულ რუსეთის სამხრეთ რუსეთსს შეიარაღებული ძალების წარმომადგენელ და ინ-

გლისის მისიის წევრს ტაშით შეხვდნენ. წითლებმა ორიოლს დიდი მნიშვნელობა მისცეს და ჩვენ შემდეგ ჯარის წინააღმდეგ 20 კომუნისტური ნაწილი შეახვედრეს.

სისხლის მღვრელმა იმმა, რომელიც დასრულდა სად. ერობკინოს და რამდენიმე სოფლის დაჭერით, და აგრეთვე დასავლეთით ქალ. ორომის დაჭერით, უჩვენა წითლებს, რომ წინააღმდეგობა ტყუილ უბრალოა, რომ მოხალისეთა მიზანი ასრულდება, რაც არ უნდა ეხლდეს. შეუჩერებელი წინსვლით ჩვენმა ჯარმა მისდია მტერს, შეიჭრა ქალაქში, სადაც თავის მხსნელებს შეხვდნენ აღფრთოვანებით და „ქრისტე აღსდგას“ გალობით. ორიოლზე ჩვენს შეტევას ხელი შეუწყო ჯავშნიანი მატარებლის მუშაობამ, რომელიც სწმენდდა გზას. ბოლშევიკების ზარალი დიდი. წითელი ფრონტი სამხრეთში მარცხდება. 4—17 ოქტომბრამდე წითელმა ჯარმა დაჰკარგა 35000 ტყვეთ, 50 ზარბაზანი, 90 ტყვიისმფრქვეველი. მოხალისეთა არმიის ფრონტზე კი 20000 ტყვეთ, 21 ზარბაზანი, 141 ტყვიისმფრქვეველი, დაეხოცათ... (შემდეგ მიღება შეუძლებელი შეიქნა).

მილიციაში.

7 ოქტომბერს თავის ბინიდან გამოვიდა ლევან ზაქარიას ძე ზირაქაშვილი, რომელიც დღემდე არ დაბრუნებულა. თუ ვინმემ იცის სად არის, სთხოვენ აცნობონ სისხლ. სამ. მილიციას (გენოვის ქ. № 12). ნიშნები: 50 წლ. საშუალო სიმაღლის, წვერ მოპარსული, ჭაღარა თმებით და ულვაშებით, აცვია შავი კოსტუმი, შავი ქუდი ხურავს.

—

სისხლ. სამ. მილიციის უფროსის განკარგულებით მილიციის აგენტებს სასტიკად ეკრძალებათ კერძო ავტომობილებით სარგებლობა, მათ აქვთ ტრამვაის უფასო ბილეთები, რითაც შეუძლიათ იმგზავრონ, ავტომობილით კი აუცილებელი საჭიროების დროს და თითეულ შემთხვევაში უფროსის დაკითხვით.

—

სისხლ. სამ. მილიც. დააპატიმრა ეფიმ ტკაჩენკო, რომელსაც ბრალდება ალექსანდრა ბალამაიცვას თეთრეულის მოპარვა. ტკაჩენკო ქურდობაში გამოტყდა. იგი მესამე უბნის ფომრიგებელ მოსამართლეს გადაეცა.

2 ნოემბერს დააპატიმრეს ცნობილი აფერისტი იოსებ პავლეს ძე ორლოვპალეჩნი, იგივე ბარონი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე როზანი, იგივე ანტონ ნიკოლოზის ძე შინა, იგივე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე როზანოვი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკისთვის მავნე ელემენტია. იგი დატუსაღებულია საგუბერნიო ციხეში № 2.

სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა სასტუმრო „სევერნიე ნომერა“-ს მოსამსახურები: კალისტრატე კურდია და ტერეზია პედაისი, რომლითაც ბრალდებათ 5,000 მ. ღირებული ფეხსაცმელების მოპარვა იმავე სასტუმროში მცხოვრებ გრიგოლ კონსტანტინეს ძე ლორთქიფანიძისგან.

სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა ნოქარი სტეფანე ზარაფიშვილი, რომელსაც სხვა და სხვა საქონელი მოუპარავს იოსებ აარონის ძე ფიჩხაძის მაღაზიიდან, პუშკ. ქ., № 9, სულ 4670 მან. დაპატიმრებული ზარაფიშვილი მეოთხე უბნის გამომძიებელს გადაეცა.

სხვა და სხვა.

✦ ტელეგრაფის განყოფილება „ზემო სურები“ (ოზურგეთის მაზრა) გადიქმნა ფოსტა ტელეგრაფის განყოფილებათ. კორესპონდენციის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს ჩოხატარის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებასთან.

✦ სოფელ მიქვენაში (ლეჩხუმის მაზრა), რომელიც მდებარეობს ფოსტის ტრაქტზე ქუთაისიდან 35, ლაილაშიდან 25 ვერსის მანძილზე, გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. ყველა კორესპონდენციის გაცვლა გამოცვლას აწარმოებს ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან.

✦ ქართ. სამუსიკო საზ—ში შეერთებული რეპეტიციები საოპერო სტუდიისა და კაპელასი უკვე დაიწყო და ამ მოკლე ხანში ჩვენი საზოგადოება მოისმენს ქართ. ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“ მუსიკა დ. არაყიშვილისა.

✦ უკანასკნელი ცნობებით, ქართულ ლატარიის ბილეთები გაყიდულია სულ სამი მილიონი მანეთისა.

✦ ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდნენ პროფესორები სმირნოვი და სვირენკო ტ პოლიტეხნიკუმში ლექციების კითხვა დაიწყეს.

✦ დრამატიულ სტუდიის დავალებით დ. ნახუცრიშვილმა სთარგმნა დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის პიესა „მეფე ურიათა“.

✦ საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ამ საზოგადოების სახელზე დეპეშების გამოგზავნა შეიძლება შემოკლებულ მისამართით: „ტრანსპორტი“.

✦ ინგლისის რკინის გზის მისია აცნობებს არარატის რესპუბლიკას, რომ რკინის გზა სადგ. ულუხანლუდან ჯულფამდე გასწორებულია და თხოვს მოაწყოს მასზე მატარებლების მიმოსვლა.

✦ სომეხთა რკინის გზის სამართველომ მიმართა საერთაშორისო რკინ. გზის ბიუროს, რომ მას სურვილი აქვს მოაწყოს პირდაპირი მიმოსვლა. ეს თხოვნა განხილული იქნა და მიღებული ე. ი. გადაწყდა, რომ სანაინ ერევნის ხაზი შეტანილი იქნეს პირდაპირი სამგზავრო მიმოსვლაში ტფილისი—ერევანი. ეს დადგენილება ბიურომ სამინისტროში გაგზავნა დასამტკიცებლათ.

✦ შავი ქვის განმანაწილებელ ბიუროს სთხოვეს ნებართვა ნოემბერში ერთ მილიონ ფუთზე მეტი შავი ქვის გატანისა მხოლოდ შემდეგმა ფირმებმა: ჯავახოვის, ჯაყელის, კავკას. მადნეულობის ამხანაგ. შავი ქვა გაიგზავნება ფოთით და ნაწილი ბათომით. ასეთი მოთხოვნა შავი ქვისა იმით აიხსნება, რომ ფოთის პორტი და შემოსასვლელი კარები ომის დაწყებიდან არ გაწმენდილა სილიდან, რის გამოც იქ გემები ვერ შედიოდენ.

✦ გუშინ სასწრაფო მატარებლით № 6, ბათომიდან ტფილისში ჩამოვიდა ინგლისელთა გენერ. კეისი, საქ. რესპუბლიკის წარმომადგენელ ღამბაშიძითურთ.

✦ შაბათს, 1 ნოემბერს „შევარდენი-„ს საზ. დარბაზში გაიმართა საღამო, რომელზედაც საინტერესო იყო ცოცხალი კინემატოგრაფი, რომელიც „შევარდენებმა“ შეასრულეს.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

თავარი საბაჟო

ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, რომ 23 ნოემბერს 1919 წ. დილის ათ საათზე მთავარ საბაჟოს შენობაში გაიყიდება საჯარო ვაჭრობით საბაჟოს მიერ ჩამორთმეული სახელდობრ: თუთუნი, პაპიროსები სხვა და სხვა ქარხნისა, საპონი, მანუფაქტურა, წყმწყმა, მომპასიე, შაქარი, ფხვნილი და რაფინადი, ლიკიორი, ძაფი, მოცვის ჩაი, ყავა ლურსმანი და სხვა. 3—2 73

ნიკოლოზ გენრიხის ძე ვაგნერი აცხადებს რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ტფილისის მე 2 ვაჟთა გიმნაზიიდან № 574 „ვოლნოოპრედელიაუშჩის“ წოდების გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 69 3—1

გორის მაზრაში სოფელ ლუბრუმაში, მცხოვრებელნი ივანე, ვლადიმირი დეკანოსიძეები, კიმოთე კუჭაძე, ზაქარია ინდუაშვილი და ილიკო. მამლეკიძე აცხადებენ, რომ მათ დაჰკარგეს ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის უფროსი ნოტარიუსისგან 8 მარტში 1910 წ. რესტრით № 729, რომლის ძალით მათ შეუძენიათ მამული გორის მაზრაში სოფ. ოსიაურში. სიგელი გაუქმებულათ ითვლება. 64 3—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა. ამით აცხადებს დილის 10 საათიდან ტფილისის ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი უსაბუთო ტვირთი: აქთით სადგ. ტფილისი № 2479—რიგ. № 582 5 ც. ქუთები ცარიელი წონ.—1 ფ. 15 გ., აქთით № 2622—რიგ. № 599—147 ც. ბზე—365 ფ. აქთით № 2369—რიგ. № 567—5 ც. სხვა და სხვა ნაირი 3 ფ. 35 გ.—აქთით № 2370—რიგ. № 568—1 ც. სიმინდი—5 ფ. 10 გ. აქთით № 1822—რიგ. № 472—2 ც. სხვა და სხვა ნაირი 5 ფ. 15 გ. აქთით № 579—რიგ. № 581—1 ც. სალესი ქვა—35 გ. 82 1—1

ირაკლი ალექსის ძე ჩაჩიბაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა სამხედრო ბეგარის მოხდისა, პირადობის მოწმობა ფოტოგრაფიული სურათით და ფული 1150 მ. საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 69 3—1

დაკარგულია მოწმობა ტფილისის საბაჟოსი 1919 წ. სექტ. 8 ს ტფილისში მიღებულ ზელენსკის სახელზე ბარგის გადასახადიდან განთავისუფლების შესახებ. მოწმობისა და კვიტანციის № არის 5994. მოწმობა გაუქმებულათ ითვლება. 71 3—1

დაკარგულია უვადო პასპორტი მიცემული ხაბაროვსკის პოლიციიდან 1914 წელს სექტემბრის 30, № 4000, იაკობ სტეფანეს ძე თევდორაძის სახელობაზე, რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 57 3—2

ალექსი სტეფანეს ძე დვალი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული ტფილისის ქალაქის სამართველოდან 1905 წ., რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 58 3—2

გრიგოლ ილიას ძე მორაზიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სტუდენტის მოწმობა № 517 და მოწმობა მიღებული ტფილისის სამხედრო ჰოსპიტალიდან № 2987. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვლება. 52 3—2

ტფილ. ოლქ. სასამ. სამოქ. განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა შინაური ანდერძი ივანე ივანეს ძე ჟდანოვის. 037 1—1

ტფილ. ოლქ. სასამ. სამოქ. განყოფ. სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი 1917 წ. ნოემბრის 23-ს გარდაცვალებულის გრიგოლ ივანეს ძე რუსიევის. 036 1—1

ტფილ. ოლქ. სასამ. სამოქ. განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ემერინციანა მიხეილის ასულის ჯაყელის. 038 1—1

ტფილ. ოლქ. სასამ. სამოქ. განყოფ. სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი გეგენ ნინიას ძე ზურაბაშვილის. 035 1—1

რაჟდენ გიორგის ძე ბახტაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული სოფ. ხონის კომისარიდგან და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 64 3—1

დაკარგულია მოწმობა 904 სერგო ნიკოლოზის ძე თოხაძის სახელზე, მიღებული აკეთის კომისარიატიდან 1918 წ. მაისის 28-ს, მოწმობა თეოფილე გრიგოლის ძე ჭირაქაძის სახელზე ქუთაისის მაზრის სამხედრო უფროსისგან 1918 წ. სექტემბრის 30-ს, № 10. მოწმობები გაუქმებულათ ითვლება. 1594 3—1

ალექსანდრე მიხეილის ძე იობაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილ. მილიციის უფროსისაგან, მეტრიკული ამოწერილობა სპირიდონ იობაშვილის ხელზე და 250 მ. მპოვნელს თხოვს დაუბრუნოს მოწმობა და მეტრიკა შემდეგი მისამართით პლეხანოვის ქ., № 168, ბინა 7, ალექსანდრე იობაშვილს. 1602 3—1

ბორჩალოს მაზრის კომისარი ამით აცხადებს, რომ ქ. შულავერის მცხოვრებმა არუტინ ეფრემის ძე ჩობანიანცმა დაჰკარგა შემდეგი საბუთები: სამსახურის მოწმობა, მიღებული ტფილ. ოლქ. ფოსტა-ტელეგრაფიდან 1919 წ. მარტის 7 ს № 5870, მეტრიკული მოწმობა, მიღებული ტფილისის სომეხთა კონსისტორიიდან 1918 წ. სექტ. 12-ს № 3436 და მოწმობა შულავერის ერთკლასიან სასწავლებლის დამთავრებისა № 97, საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 74 3—1

ტფილ. ქალაქ. მილიც. უფროსი აცხადებს, რომ ქალაქის თვითმართველობამ აცნობა მას დაკარგვა გირავნობის მოწმობისა, დამტკიცებულის ტფილ. ოლქ. სასამ. 1918 წ. მაისის 13-ს, № 104, ბარტინ კარლის ძე კალვეიტის სახელზე, მამულზე, რომელიც დაგირავებული აქვს ქ. ტფილისს 1300 მ. ღა რომელიც შეიცავს მიწის მონაჭერს, I ზომით 1256,34 კვ საჟ., მეორე—636,88 კვ. ს. 66 3—1

არშაკ მიხეილის ძე არზუმანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვექილობა, მიცემული მისთვის ბოგდან რომანის ძე არზუმანოვის მიერ გამოცხადებული ტფილისის ნოტარიუსს ა. ი. კარაკაშის კანტორაში 18-თებერვალს 1919 წ. რეესტრით № 561, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1919 წ. 3 ნოემბერს 53 3-3

ბარბარე ივანეს ასული ხუბაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, მიცემული მის ქმარზე იოსებ ლუარსაბის ძე ხუბაშვილზე ტფილ. ოლქ. სას. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1913 წ. აპრილის 10-ს, რეესტრი № 1036. 18 3—3

ნიკოლოზ სულხანიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 20 3—3

ისაკ ტერ-ანტონოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, სამხედრო სამს. განთავისუფლების მიღებული ტფილისის სამხედრო საკრებულოდან. მოწმობა გაუქმებულათ ითვლება. 47 3—3

ბარბარე ივანეს ასული ხუბაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული 1913 წ. აპრილის 10 № 1036 იოსებ ლუარსაბის ძე ხუბაშვილის მამულზე, მდებარე ქ. ტფილისის 11 უბანში. 18 3—2

პოლკ. ვაშაკიძე აცხადები, რომ მან დაჰკარგა ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრობის წიგნაკი № 5398, ჩაითვალოს გაუქმებულად. მპოვნელს სთხოვენ გადასცენ ხსენებულ საზოგადოებას. 45 3—2

ლევანი სამსონის ძე აბაშიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა ტფილისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან მიცემული. 48 3—3

ნიკოლოზ პეტრეს ძე კურრეტოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ტფილისის სამმართველოდან, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 38 3—3

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 80709, 65 მანეთის. გაუქმებულად ჩაითვლება. 59 3—2

მიხეილ პეტროსიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და საფულე 500 მანეთით. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვლება. 61 3—2

ალი მურად ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტაგო რუხის სოფლის სამართვ. (ერევ. გუბ.) პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 22 3—3

ალექსანდრე მიხეილის ძე იობიშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან და მეტრიკული მოწმობა მიღებული სოფ. ბარავარძის მომწერიდან (რაჭა) სპირიდონ ივანეს ძე იობიშვილის სახელზე გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1502 3—2

როსტომ ივანეს ძე ფიცხელაური აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის სამართველოდან № 17287. გაუქმებულად ჩაითვლება. 56 3—2

სოლომონ გიორგის ძე მედულაშვილი აცხადებს, რომ ყოფილმა სახლის პატრონმა ტერმხითაროვმა ლაზარევის ქ. № 10. დაჰკარგა სახლის დავთარი. 5 3—2

ნოე ივანეს ძე ქობალავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა წასულ 9 სექტემბერს მოწმობა, მიცემული სენაკის მაზრის სამხედრო უფროსისაგან ომში ჭრილობისათვის ბოძებული მეოთხე ხარისხის ჯვარის ტარებისა, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 75 3—2

ტფილისის საპყრობილეთა ინსპექცია

იწვევს იმ პირთ, რომელთაც სურთ მიიღონ თავის თავზე შოაწოდონ ტფილისის საპყრობილეებს საჭიროებისათვის ყოველთვიურად დაახლოებით შემდეგი სანოვაგე: 200 ფუთი კარტოფილი, 35 ფუთი ხახვი, 45 ფუთი ნიორი, 50 ფუთი მარილი, 20 ფუთი წვანილი, 20 ფუთი სამარხვო ზეთი, 70 ვედრა რძე, 300 ფუთი ლობიო, 60 ფუთი კომბოსტო, 10 ფუთი ჭარხალი, 25 ფუთი ბრინჯი, 80 ფუთი ქერი, 80 ფუთი ბზე, 70 ფუთი თივა და ერთ დროულად 300 ფუთი ჩალა მატრაცების გასატენად, ამის შესახებ მსურველებმა უნდა შემოიტანონ საპყრობილეთა ინსპექციაში ნოემბრის 10 მდე ყოველ დღე 9—12 საათამდე წერილობით განცხადება აღნუსხვით ფასებისა ყველა ზემო ნაჩვენებ საზოგაგეებზე საპყრობილეებში მიტანით (1/3 უნდა იქნას მიტანილი მეტეხის საპყრობილეში და 2/3—ორთაჭალაში, ტფილისის № 1 საპყრობილეში) მსურველნი უნდა გამოცხადდენ ათ ნოემბერს დღის 12 საათზე მეტოქეობაში მონაწილეობის მისაღებათ ინსპექციაში, უნდა იქონიონ თან 10% ღირებული ფასებისა. 78 3—2

სტამბა საქართველოს მთავრობის.

დროებითი რედაქტორი ვიკტორ ნოზაძე